

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №47/ნ  
2018 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

**„სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

## **მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 110407029, 07/04/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430190000.22.022.016087) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების:

**1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი), გარდა ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.“.

**2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ<sup>1</sup>“ და „ზ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტები:**

„ზ<sup>1</sup>) სამინისტროს უგზავნის ინფორმაციას გამოცდებზე რეგისტრირებული იმ პირების თაობაზე, რომელთაც რეგისტრაციისას მიუთითეს, რომ საჭიროებენ სპეციალურ პირობებს/ესაჭიროებათ გარემოს ადაპტაცია;

„ზ<sup>2</sup>) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უგზავნის ინფორმაციას გამოცდებზე რეგისტრირებული იმ პირების თაობაზე, რომელთაც რეგისტრაციისას მითითებული აქვთ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სტატუსი.“.

## **მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

